

## თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №37

ქ. თბილისი

2019 წელი, 25 იანვარი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით უჯმაჯურიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, გოჩა თევდორაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: თევდორე ისაკაძე, გიორგი გაბაშვილი,

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

გვანცა ნიკოლაიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

თინათინ ყობაია - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

ეკა ცეცხლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

ირაკლი თავართქილაძე - თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

### დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 – 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (12-031902271-03)
2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03183655-03)

- 1) ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.030, ნაკვ. 07/030, ფართობი: 14207 კვ.მ); ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;
- 2) ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა N22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი N3, გერგეთის შეს. N3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი N8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.070.057, N01.15.07.006.039, N01.15.05.070.071, N01.15.05.070.002, N01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 463 კვ.მ); ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება
- 3) ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩის, N1-ში (ნაკვეთი 02/001) არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.001) ნაწილზე (ფართობი: 2330 კვ.მ) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება
3. “ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ. N31-ში მთაწმინდის ქ. N19-17ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ (12-0319015124-03)
4. ქ. თბილისში, გლდანის რაიონი ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.11.13.001.117 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის თაობაზე (16-03190211-03)
5. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004 ფართობი 12 000 კვ.მ.) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (12-031819252-03)
6. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი I, კორპუს №3-ში (საკ/კოდი; №01.19.35.005.010.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0318362107-03; 12-031900311-03)
7. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპ.№2ა-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0318362107-03; 12-031900311-03 )

8. ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მ/რ-ის კორპ.№10ა-ში,პირველ სართულზე (საკ/კოდი:№01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0318362107-03; 12-031900311-03 )
9. ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტლის კორპ.№5-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0318362107-03; 12-031900311-03)
10. ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქ.№50-ში (საკ/კოდი: №01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0318362107-03; 12-031900311-03)
11. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №189-ში (საკ/კოდი: №01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0318362107-03; 12-031900311-03)
12. ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქ.№173, კორპ.№4-ში (საკ/კოდი: №01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0318362107-03; 12-031900311-03)
13. ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3-ში მდებარე 834 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3-ში მდებარე 8520 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1, №2, №3, №4 შენობა-ნაგებობების (ს/კ: №01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (№12-031900346-03)
14. ქალაქ თბილისში,ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი№11/22); ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი №11/17) 800 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-0319009174-03)
15. ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, თამარაშვილის შესახვევი №6-ში თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821 კვმ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართით 30კვმ), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართით 28.89 კვმ), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართით 69.53 კვმ (მ.შ. სარდაფი 11.46 კვმ | სართულზე 58.07 კვმ)) , შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართით 21.01 კვმ); შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართით 3.47 კვმ);შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართით 2.09 კვმ); შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართით 29.37 კვმ) და შენობა-ნაგებობა№6-ის

(ფართით 33.81 კვმ)(საკ/კოდი; 01.14.07.008.137)პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მისაიასა(პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძესთან (პ/ნ 01008030050) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე (№15-03190155-03)

16. ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ.№27 ბ-ში მდებარე 64 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.10.15.007.145) 40 კვმ მიწის ნაკვეთის სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე (№12-03190108-03)
17. ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ : 01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-03190108-03)
18. ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა №35-ში არსებული 387 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-03190108-03 )
19. ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 173კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.15.05.075.015) შპს „ფუდ ანდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის (ს/კ 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.492.792 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (№12-03190107-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 – 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (12-031902271-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2018 წელს

ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და 2019 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გავალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 72 650,3 ათასი ლარით და შეადგენს 1 000 281,8 ათას ლარს, მათ შორის სხვა შემოსავლები იზრდება - 9 500,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება - 1 000,0 ათასი ლარით და ნაშთის ცვლილება - 62 150,3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი 57 804,9 ათასი ლარი და 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გზების რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი თანხებიდან არსებული ნაშთი 4 345,4 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის განკარგულება N1205). ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და დიდუბის რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

ბიუჯეტის შემოსულობების ზრდისა და ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 65 132,6 ათასი ლარით, მათ შორის ილია ჭავჭავაძის გამზირის, ო. ხიზანიშვილის, ი. ვეკუას ქუჩების და კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მუხრან მაჭავარიანი - მარშალ გელოვანის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობისათვის; 2018 წელს დაწყებული პროექტების დასაფინანსებლად იზრდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება - 5 603,1 ათასი ლარით და კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 014,6 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) ქვეპროგრამის ასიგნებები - 80,0 ათასი ლარით, რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერების აღსადგენად; სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით, მათ შორის, ახალგაზრდული სპორტული ფესტივალის, კალათბურთში ევროპისა და ღია ჩემპიონატების ჩასატარებლად; შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 120,0 ათასი ლარით, სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, 1 პუნქტის, „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.*

**2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03183655-03)**

- 1) ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.030, ნაკვ. 07/030, ფართობი: 14207 კვ.მ); ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;
- 2) ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა N22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი N3, გერგეთის შეს. N3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი N8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.070.057, N01.15.07.006.039, N01.15.05.070.071, N01.15.05.070.002, N01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 463 კვ.მ); ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება
- 3) ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩის, N1-ში (ნაკვეთი 02/001) არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.001) ნაწილზე (ფართობი: 2330 კვ.მ) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის #12-03183655-03 წერილით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა ეკა ცეცხლაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 3 წინადადება, კერძოდ:

- 1) ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.030, ნაკვ. 07/030, ფართობი: 14 207კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.030;) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №63 განკარგულებით დადგენილია ფუნქციურ ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის N27-ში არსებულ მიწის

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.030, ნაკვ. 07/030, ფართობი: 14 207კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღება;

- 2) ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა N22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი N3, გერგეთის შეს. N3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი N8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.070.057, N01.15.07.006.039, N01.15.05.070.071, N01.15.05.070.002, N01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 463კვ.მ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება გზის გაფართოვების მიზნით. დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს საავტომობილო გზის მომიჯნავე არეალს და აღნიშნულ განცხადებაზე წარმოდგენილი ტოპო გეგმის მიხედვით, ხე - ნარგავების დაზიანების გარეშე შესაძლებელს ხდის გზის გაფართოებას. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის N01183443989 წერილის თანახმად, საკადასტრო კოდების მიმდებარედ არსებული გზის რეაბილიტაციის მიზნით, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა (ლსზ) დასარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მიერ არსებული გზის რეაბილიტაცია განხორციელდეს ისე, რომ არ დაზიანდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა N22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი N3, გერგეთის შეს. N3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი N8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.070.057, N01.15.07.006.039, N01.15.05.070.071, N01.15.05.070.002, N01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 463კვ.მ) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, გზის გაფართოვების მიზნით, მისაღება.
- 3) ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩის, N1-ში (ნაკვეთი 02/001) არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.001) ნაწილზე (ფართობი: 2330კვ.მ) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება ორი ფუნქციური ზონა (სამრეწველო ზონა (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)) და ასევე მიმდებარედ თ. ერისთავის ქუჩის გასწვრივ ჩამოყალიბებულია შერეული ტიპის განაშენიანება, რომლის განვითარებაც მიმდინარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისთვის დამახასიათებელი შენობა-ნაგებობებით. აღნიშნული ცვლილებით დაზუსტდება ამ საკადასტრო ერთეულის სამშენებლო განვითარება ერთი ფუნქციური ზონის შესაბამისად. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსაგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) რეჟიმი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩის, N1-ში (ნაკვეთი 02/001) არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.001, ფართობი: 2330კვ.მ); სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებად.

*წარმოდგენილი ცვლილებების მიღების შესაბამისად განხორციელდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე რუკაზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება 3 ერთეულ შემთხვევაში.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (საქმე №12-03183655-03. 31.12.2018წ) საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 3 წინადადება, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად*

3. “ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ. N31-ში მთაწმინდის ქ. N19-17ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ (12-0319015124-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ტერიტორია მდებარეობს ქალაქის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში, თბილისის ბუნებრივი, ლანდშაფტური თუ არქიტექტურული დომინანტის- მთაწმინდის კალთის, კერძოდ მამადავითის მთის ძირში. მიმდებარე ტერიტორია განაშენიანებულია, როგორც მრავალბინიანი ასევე, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. საპროექტო წინადადებით კორექტირება ხორციელდება ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მთაწმინდის ქ. N17-ში, მთაწმინდის ქ. N19-ში, ყიფიანის ქუჩაზე, ყიფიანის ქუჩა N31- არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.06.001.041, N01.15.06.001.042, N01.15.06.001.040, N01.15.06.001.008) ჯამური ფართობით 1 883 კვ.მ.



„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) არის დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის თანახმად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონა 1 (ისტ-1) და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა (ისტ-2) კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამცავი ზონის დადგენის მიზნებია: მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა; მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიკური, ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ძეგლის, როგორც ისტორიის მოწმის, როლის შენარჩუნებას.

ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 სექტემბრის N349197 ბრძანებით (AR165040), დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ ერთი სექტორის არსებობას ორი დამოუკიდებელი საცხოვრებელი ბლოკით. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობით 1883 კვ.მ. საიდანაც მთლიანად იყო დათვლილი საპროექტო ქალაქმშენებლობითი პარამეტრები კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრი განსაზღვრულია კ2-2,5. საპროექტო ტერიტორიაზე არ შეცვლილა არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და ქალაქმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით მთლიანი საპროექტო ტერიტორიისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად, სზ-3: კ-1= 0,5; კ-2= 2,5; კ-3= 0,1; საპროექტო შენობა-ნაგებობების სართულიანობა რჩება უცვლელი. ასევე, მინიმალურად იცვლება (8 კვ.მ-ით) ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის

მიერ შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის 2017 წლის 13 აპრილის #3207972 ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (შეთანხმებული კ1=908,5- კორექტირებით დაფიქსირებული კ1 = 916,93კვ.მ).

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, კორექტირების მიზანს წარმოადგენს მითითებულ პროექტში თავდაპირველად მითითებული ნაკვეთების სექტორებად დაყოფის სქემების რეგულირება. ერთიანი არეალის სამ დამოუკიდებელ სექტორად ჩამოყალიბება. საიდანაც მხოლოდ ერთი სექტორი იქნება საამშენებლო და განთავსება ორი ბლოკი. პირველი სექტორისთვის კ-1=0,5; კ-2=2,6; კ-3=0,1-ის ნაცვლად კ-3=0,2; სექტორი N2 და N3 -ში არ იგეგმება შენობა-ნაგებობების განთავსება, შესაბამისად მათი ფართობი არ არის გამოყენებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ანგარიშის დროს. რის გამოც გამოწვეულია სექტორ #1-ში კ2-2,5-ის ნაცვლად კ2-2,6 დაფიქსირება.

ამასთან, სექტორი N2 და N3 -ში არ იგეგმება შენობა-ნაგებობების განთავსება, შესაბამისად მათი ფართობი არ არის გამოყენებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ანგარიშის დროს. რის გამოც, გამოწვეულია სექტორ #1-ში კ2-2,5-ის ნაცვლად კ2-2,6 დაფიქსირება, სამშენებლო მოცულობის მატების გარეშე. წარმოდგენილი კორექტირებით აღნიშნული კ2-2,6 კოეფიციენტი დაანგარიშებულია 1703 კვ.მ. მიწის ნაკვეთების ფართობიდან, სადაც იგეგმება მშენებლობა. სექტორ #1-ში კ2 კოეფიციენტის 2,5დან კ2—2,6-მდე მატებით არ ხდება საამშენებლო მოცულობის გაზრდა, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი რჩება უცვლელი, გამწვანების კოეფიციენტი (კ3) იზრდება 0,1-დან კ3-0,2-მდე და რეგულირდება მხოლოდ მიწის ნაკვეთების გამოიჯვნის სქემა. ასევე, კორექტირებით არ იცვლება გამწვანების დენდროლოგიური პროექტი.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში , ყიფიანის ქ. N31-ში მთაწმინდის ქ. N19-17 ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების“ საკითხი (საქმე №12-0319015124-03.15.01.2019წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი №01182282788-67), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

4. ქ. თბილისში, გლდანის რაიონი ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.11.13.001.117 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის თაობაზე (16-03190211-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით, ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1(სსზ-1), საცხოვრებელი ზონა (სზ), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება თ. შემელიძის, ი.ვეკუას, რ.შენგელიას და ა.გობრონიძის ქუჩები.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მოქმედი ფუნქციური ზონების კონტურების და არეალების ცვლილება. საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), იცვლება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). საპროექტო არეალზე მოქმედი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ს (სსზ-2) ფართობია 2534მ<sup>2</sup>. საცხოვრებელი ზონის (სზ)-ს ფართობი 3750კვ.მ-ს, რომელზეც საპროექტო შემოთავაზებით გავრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 1 069 მ<sup>2</sup>.

ინტენსივობის მაჩვენებლის დაანგარიშება ხორციელდება მთელი ნაკვეთის ფართობიდან, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-სთვის დადგენილი მაჩვენებლის ფარგლებში, მთელი არეალის საანგარიშო ფართობიდან, რაც შეადგენს კ2-3.0; საპროექტო წინადადებით დადგენილი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ს (სსზ-1) არეალიდან (ფართობი 25 309კვ.მ). გამოყენების სახეობა: მრავალფუნქციური, საცხოვრებელი, სასტუმრო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საზოგადოებრივი კვების; კომერციული და საოფისე კომპლექსი; განაშენიანების რეგულირების პარამეტრები: ტერიტორიის განვითარება იგეგმება სსზ-1 და ტზ-1-ს რეგლამენტით განსაზღვრულ მაჩვენებელზე ბევრად დაბალი ინტენსივობის კოეფიციენტით, რადგან საპროექტო წინადადებით კ2 არ აღემატება 3,2-ს. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ს ფართობი 25 309კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1-ს ფართობი 1 069კვ.მ; სართულიანობის დაანგარიშება ხდება კომერციული სექტორის სახურავიდან, რომელიც თავის მხრივ შეადგენს 3 სართულს (აქედან ბინების სავარაუდო მაჩვენებელია 553 ერთეული, რომელშიც მაცხოვრებელი ადამიანების სავარაუდო რაოდენობა აღწევს 1933-ს).

კომპლექსის პირველი სამი სართული დაეთმობა კომერციულ სექტორს - მოლის ჯამური ფართობით დაახლოებით 27 900კვ.მ; სასტუმროს ფუნქციის განსავითარებლად განსაზღვრული მოცულობის სავარაუდო ფართობი შეადგენს 4200 კვ.მ (სასტუმროს ნომრების რაოდენობის დაახლოებით 110 ერთეული); მთელი საპროექტო არეალის ფარგლებში იგეგმება დაახლოებით 6000 კვ.მ მწვანე საფარის დაგეგმარება რაც ჯამში შეადგენს მთელი ტერიტორიის 22%-ს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 27 დეკემბრის N01183611286 წერილის მიხედვით, ტრანსპორტზე ზეგავლენის

შეფასების კვლევის შენიშვნები გამოსწორებულია. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მ/ს „ახმეტელთან“ და ასევე მიმდინარე სამარშრუტო სქემის რეორგანიზების ფარგლებში იგეგმება ტერიტორიის მომსახურება მაღალი ინტენსივობის სატრანზიტო საავტობუსე ქსელით, შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ტერიტორია მომსახურებულია მაღალი ინტენსივობის განაშენიანების შესაბამისი ტრანსპორტით. ამასთან, მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მეორე ამოსასვლელი საჭიროებს რეაბილიტაციას. გაზრდილი მგზავრთნაკადის პირობებში აღნიშნულია მოსასვლელი არსებითად შეამსუბუქებს დატვირთვას მეტრო სადგურზე. იმისათვის, რომ საპროექტო ტერიტორიას ჰქონდეს კარგი საქვეითე მისაწვდომობა, რეკომენდებულია, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი წრიული სავალი ნაწილი (რომელზეც სერვიტუტის სტატუსის გავრცელება იგეგმება) დაგეგმარდეს როგორც საქვეითე. სატრანსპორტო გზისგან უნდა განსხვავდებოდეს მოპირკეთებითა და დიზაინით, რომელიც მორგებული იქნება ქვეითთა საჭიროებებს. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი საგზაონიშნით ან ბარიერით აიკრძალოს ავტოტრანსპორტის მოძრაობა, გარდა ადგილობრივი მაცხოვრებლების, სასწრაფო დახმარების, სახანძრო და სადისტრიბუციო მანქანებისა. შესაძლებელია, სადისტრიბუციო მანქანებისათვის ავტოსადგომების გამოყოფა. მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას სიჩქარის შემაფერხებელი დიზაინის ელემენტები. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ შემელიძე-შენგელიას დამაკავშირებელი გამჭოლი გზის დაგეგმარება და დიზაინი იყოს ქვეითისთვის მაქსიმალურად კომფორტული და მიმზიდველი. შესაძლებელია, სამანქანო შესასვლელი მოეწყოს მხოლოდ შენგელიას მხრიდან, ხოლო შემელიძის მხრიდან გაკეთდეს საქვეითე კავშირი. საქვეითე ინფრასტრუქტურა, ასევე, მოსაწესრიგებელია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე ასევე წარმოსადგენია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის 01183603153 წერილის თანახმად, წარმოდგენილი პროექტი მოიცავს აღნიშნული ეტაპისათვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის 12 პუნქტით გათვალისწინებულ გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად მონაცემებს, ასევე მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერასა და მათ ხარისხობრივ შეფასებას.

ამავე წერილის თანახმად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია.

სხდომაზე წარმოდგენილი გრგ გეგმარებითი დავალება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით სატრანსპორტო სქემების

გათვალისწინებით პრობლემურად იქნა მიჩნეული და მისი განხილვა გადადებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქ. თბილისში, გლდანის რაიონი ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.11.13.001.117 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის“ დამტკიცების საკითხი (საქმე №16-03190211-03.21.01.2019წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი №01183473613-67), გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

5. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004 ფართობი 12 000 კვ.მ.) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (12-031819252-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა მოიცავს, როგორც წესი თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია საცხოვრებელი ქვეზონების შესაბამისი ფუნქციებით. ქალაქთან კავშირი ხორციელდება გრუნტის გზის მეშვეობით, რომელზე მოხვედრაც შესაძლებელია მარნეულის გზატკეცილიდან ლ. დოლობერიძის ქუჩის გავლით.

